



ივლისი

14

1987

საქართველო

— აბა, შენ იცი, თუ ვინცოცაა, ვინცაა, ვორკნეში, ჩიტა-
ში ან ჩიმქანში უმაღლესი ვერ მოაწუგ, მაშინ „ლიტჩიკა“-
მოელაპარაკე და მანდვე მფრინავად დააწუგინე სამსახური!

«ნიანგოს» კანონგაორქვი

ახლა, როცა გარდაქმნა და საჯაროობა ჩვენი ცხოვრების კანონად იქცა, საჯაროდ ვაცხდებ, რომ აუცილებელია ჩვენი უმაღლესი სკოლის გარდაქმნა! როგორ ფიქრობთ, რაღაც 100 000 სტუდენტი, რომლებიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, და კიდევ რაღაც 30 000, რომლებიც მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, ვითომ საკმარისია? ჩვენი ვალია, მთელ მსოფლიოში ვიყოთ პირველები სტუდენტების რიცხვით!

მაგრამ არც ესაა საკმარისი! ჩვენი ვალია, ყოველი ქართველი მოქალაქე გარდავქმნათ სტუდენტად! მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ამ მხრივ ჩვენს წინსვლას ხელს უშლის!

ეს გახლავთ ის კონსერვატორული, დრომოჭმული, მე ვიტყვოდი, პირდაპირ ჩვენი კულტურის წინააღმდეგ მიმართული კანონი, რომელიც ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ მოქალაქეებს უკრძალავს უმაღლეს სასწავლებელში შესვლას!

თუ ამ კანონს გავაუქმებთ, მაშინ უმაღლესი სასწავლებლის კარი იხსნება უკლებლივ ყველასთვის – ჩვენი ღვაწლმოსილი ბებიებისთვის, კეთილშობილი ბაბუებისთვის, ბიძებისა და მამიდებისთვის, რომელთაც თავის

დროზე ან ფული არ ეყოთ უმაღლესში მოსაწყობად, ან კიდევ არც ისეთი ნაცნობობა ჰყავდათ, როგორც დღეს ჰყავთ!

ამ გზით ჩვენ ნამდვილად მიუვანლოვდებით იდეალყოველი ქართველი იყოს ან სტუდენტი, ან კიდევ – უმაღლესდამთავრებული!

რაც შეეხება გლეხებს, მუშებს, ზეინკლებს, სუროებს, ხელოსნებს, მღებავებს, დალაქებს, ოფიცინტებს, მედიფტეებს, შოფრებს, დურგლებს და მისთანათ, არა გვეგონია, მოკავშირე რესპუბლიკები საამისო კადრების გამოგზავნას დაგვზარდნენ!

მაშ, ასე: კანონის პროექტი, რომელსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ვთავაზობთ, ასეთია:

გაუქმდეს კანონი, რომელიც ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ მოქალაქეებს სტუდენტობას უკრძალავს – სტუდენტობისთვის არ უნდა არსებობდეს ასაკი!

ქირს ქართველი, რომელსაც უმაღლესი არა აქვს დამთავრებული!

დიდება დიპლომატიან საქართველოს!

ნახ. მ. აბაშიძისა

— კითხვა რად უნდა, ზედვე ეტყობა, რა ნიშნის მიიღოს!



გოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების აღზრდილთა დაახლოებით 20 პროცენტი არ ჩასულა განაწილების ადგილებში — სოფლის სკოლებში, რაიონულ საავადმყოფოებში, ქარხნებისა და ფაბრიკების სამკროებში.

ნახ. ბ. ლომიძისა



— დაიგვიანეს, ჭერ არსად ჩანან!

საჩხერე, სოფელი საირხე, ომარ გელბახიანს

მე მასსოვს შენი მოღებნა და თამაღობა მეფური!..
აურობორტში ძლივს გიცხან, გეკარგებოდა ფერფური!..

„ვლადივოსტოკში ბიჭს ვგზავნი დიპლომის ნატვრით, იმედით, უბედურს ყელი მეჭრება, ვერ ვიშოვეო ბილეთი!“ —

მითხარ და შემომამჩერდი, შველას ელოდი ჩემგანა,
ნეტავი ტყვია გეხალა, ოღონდაც გეთქვა ეგ არა!

ცხრა ზღვის ვადაღმა რა უნდა?! — შენს ბიჭს თუ სწავლა სწყურია,
სასწავლებლები აქ არ გვაქვს?! — სიბრძნე ზღვად მონაწურია!

უმაღლესი გვაქვს ოცამდე, სამხატვრო აკადემიაც...
დიპლომი გინდათ? თქვენც მოგწვდათ დიპლომის „უბიდეშია“?!

აფსუს, რა კარ-მიდამო გვაქვს, რა ბაღნარი და რა ზვარი?!
შენ კი ერთადერთ მემკვიდრეს იშორებ, სადღაც აგზავნი?!
ვილა მისედავს ეზო-კარს, მამა-პაპისგან ნაბოძებს?!
ნანატრი შვილის ნატვრაში გინდა, რომ სული ამოგძვრეს?!
არ შიშობ, მცდარმა ნაბიჯმა რომ გაგიჩინოს იარა?!
ზოგმა დიპლომის მსურველმა სულ თაღლითობით იარა, —
ერსაც აკვამა სირცხვილი, მარტო დედ-მამას კი არა!

რა ჩაგივარდათ დიპლომში?! მე მრავლადა მყავს ნაცნობი,
ას დიპლომიანს სჯობია საქმით, შრომით და კაცობით!

შვილები უნდა გავზარდოთ, როგორც ნაღ ქართველს შეპფერის,
მარტო შენ კი არ მოგმართავ, ათასები გვყავს შენფერი!

ნოდარ შამანაძე

ოქცაშეკია



— რას შვრები, თედო, შენთვის რომ კითხულობ ამ გაზეთს, მეც გამავონე!.. სადაა შენი გარდაქმნა?

— აი, სწორედ გარდაქმნის შესახებ ვკითხულობ, ჩემო სერგო, ძალიან საინტერესო წერილია!..

— ახალია?

— აბა, ძველი გარდაქმნა სად ნახე!

— კაცო, მე გეკითხები, გაზეთი ახალია?

— აბა რა!.. მაგარი სტატიაა!..

— მოგწონს ხომ?

— რა თქმა უნდა!

— ცხოვრებაში თუ მოგწონს გარდაქმნა?

— როგორ არა!

— პირადად შენ რას აკეთებ ამ დარგში?

— მე გარდასაქმნელი არაფერი მაქვს! მაგი სხვას ჰკითხე!..

— ვკითხე...

— რა გიპასუხა?

— სხვას ჰკითხეო!.. შენ რომ იცოდე, თედო, არც მე მენება, რადგან პირადად მე გარდაქმნა არა მჭირდება!..

— მაგას რა ჯობია!

— მაშინ მომისმინე, ჩემო თედო...
— გისმენ, ბატონო ა, ბატონო, გაზეთი დავდე!

— გამოდის, რომ ყველაფერი გარკვეულია: მე გარდაქმნა არ მჭირდება, შენ გარდაქმნა არ გჭირდება, მას გარდაქმნა არ სჭირდება!.. ყველა ერთხმად ვალიარებთ, რომ გარდაქმნა სჭირდება სხვას, ვილაცხას!.. ახლა დარჩა გაურკვეველი, ვინაა ეს სხვა? ჰო, ჰო, ვინაა ეს ვილაცა?

— მაგი არ ვიცი, მაგ-

რამ ამ გაზეთში წერია, რომ ქარხანას ერთი წელია რეკლამაცია არ ჰქონია! ეს გარდაქმნა არაა?

— ჰო, მაგრამ ნამდვილი გარდაქმნა მაშინ იქნებოდა, როცა რეკლამაციის კანონი ყველას და ყველაფერს შეეხებოდა!..

— კერძოდ, რა გავს მხედველობაში!

— მხედველობაში მაქვს უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ზოგჯერ დაბალი განათლების სპეციალისტებს ამზადებენ!.. ასეთი კადრები რეკლამაციის სახით მათ უკან უნდა დაუბრუნდეს!..

— კი, მაგრამ რეკლამაცია როგორ იქნება, როცა კაცს დიპლომი აქვს?! დიპლომი არაფერს ნიშნავს?!

— ნიშნავს, მაგრამ არა ყველაფერს, რადგან დიპლომში წერია, განათლება მიეცაო და არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რაც მიეცა, მიიღო თუ არა!..

— ეს ძალიან საინტერესოა, ჩემო სერგო, მაგრამ მე მინდა გეკითხო: ეს რეკლამაცია თუ შეეხება იმ შორეულ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც არც ისე იშვიათად ჩვენი მკვიდრნი ხვდებიან?..

— უპირველეს ყოვლისა, რადგან რესპუბლიკის გარეთ გასულ სწავლის მაძიებელთა შორის ძალიან ბევრია დიპლომის მაძიებელი!..

— შენ აგაშენა ღმერთმა!..

გიგლა ბახტაძე

უჩინოვალესი ინსუპტი

იუმორესკა

ილიდე გაჩენილადე, სოფლიდან რომ ჩამოვიდა უმაღლესი გამოცდების ჩასაბარებლად და, სამწუხაროდ, პირველ დღესვე ორიანი რომ გამოიტანა საგამოცდო ფურცელი, ამ სამი წლის წინათ თბილისში გადმობარგებულმა მამიდამ ცრემლიანი თვალები შეუმშრალა და საკმაოდ მკაცრად უთხრა:

— რა გატირებს? მე თუ დიპლომი არ მიგვია ჩემი ფრანცუსი კამოდის უჯრაში, ქალი არა ვარ? რომელი მგოლია, აგერ რომ შეყრილან ამ მოედანზე, ან სახით, ან ფეხით, ან სვეტსკი საზოგადოებაში გამოსულობით? ღმერთს ახედე და მადლობა თქვი, რომ გოროდში მე გყავარ, არ დაიჩაგრები, სიტყვას გაძლე, თუ დამიჯერებ! — მოკლედ შეჭრილ ჟანგისფერ თმაზე მედიდურად გადაისვა ბეჭდებით აჭრელეული ხელი შორეულად, აღრიალებული გოგო ლინისფერ „ჟიგულიში“ ჩასვა, საჭეს მიუჯდა და სახლისკენ გამოაქანა.

— შენ, შენია მამიდა, — სლუკუნით დაიწყო ელპიდემ, მაგრამ მამიდამ სიტყვა გააწყვეტინა.

— შორეულა მქვია მე უკვე სამი წელია და მეორედ არ შეგეშალოს!

— შენ, შორეულა მამიდა, ბუნებამ მოხერხებაც მოგცა და გადასარევი ჭაუპაც, რაც, მე რომ მკითხონ, ახლა ზოგჯერ კი ჯობია ზოგის დიპლომს, მარა მე რომ არც ერთი არ გამაჩნია, მაგაზე ვტირი!.. რა პირით ჩავიდე სოფელში?

— კაი ახლა, გაჩუმიდი! მე-ზობლებმა გლახა რაღაც არ იფიქრონ!.. ქალაქში ჭაუპაც იყიდება და მოხერხებაც. პოლდა, გიყვიდი! კი, კი, მე არ მოგიკვდი!.. შეილი მე არ მყავს და აგერ, რაც არის, შენი იყოს, ოღონდაც არ შემარცხვინო, ზუსტად აითვისე.

რასაც გეტყვი, შენდა სასიკეთოდ, გაყურება?

ელპიდემ უცებ შეწყვიტა ტირილი, ოთახს თვალ მოავლო და გაოგნებული მიაჩერდა მამიდას.

— ნამდვილი თბილისელი რომ ვახდე, ფერიცვლების რეცეპტით უნდა იხელმძღვანელო, ჩემო ელპიდე, და ამაში მე დაგეხმარები, ჭირიმე!

— ფერიცვლების რეცეპტი რაღაა?

— თბილისელობის ბეჭედი, ჭირიმე! ამისათვის კი გადასხვაფერება გმართებს ყველაფერში: სახელიც უნდა შეიცვალოს, იერიც, ქვეყანაც... არავინ უნდა შეგამჩნიოს, რომ ჩამოსული ხარ, ტემ ბოლევ სოფლიდან! არ გესმის, თავს რომ აქნევ საათის ქანქარასავით? აბა, უფრო გასაგები რომ იყოს, პროსტო გეტყვი: სტილნი უნდა გახდე! და, და!.. ისე, ჭირიმე, სვეტში ვერ გაეწვი და, მაშასადამე, ვერც თბილისელი იქნები! გამიგი?

— ვაი, ვერაფერი გავიგე, შენია მამიდა, უკაცრავად, შორეულა მამიდა! — აიწურა ელპიდე.

— ვაი დედაშენს მაგ სახელის დარქმევისათვის, — წამოენთო შორეულა, — წიგნებს თუ არ კითხულობთ, არც ტელევიზორს უყურებთ იმ თქველ სოფელში? კაშმარ!.. ვიღაც პქვია ახლა ელპიდე და შენია?

— დედამ ელპიდე ბებიას პატივსაცემად დამარქვა ეგ სა-

ხელი, კაი ქალი ყოფილა, შენ კი უნდა გახსოვდეს ელპიდე ბებია, შენია... ჩემი სიკვდილი... ისევ შემეშალა... მაპატიე, შორეულა მამიდა! იმას ვამბობდი, ელპიდე...

— ბეჩა, კაგდა ეტო ბილო! ახლა კი მხოლოდ თანამედროვე სახელებია მოდაში, ან უცნოურთან მინათესავებული. აბა, რა სახელია ელპიდე? არა, ჭირიმე, საზოგადოებაში მაგ სახელით მე ვერ გამოგაჩენ, ნეტ!

— კი მაგრამ, პასპორტში რომ ელპიდე გაჩენილაძე ვარ, რა ვქნა აბა?

— პასპორტში მეც მიწერა ის სახელი და გვარი, მაგრამ დღეს შორეულა გაჩე ვარ! უნდა ნახო, რომ ვიტყვი ხოლმე ჩემს გვარს — გაჩე, ყველა მონუსხულივით ჩერდება. ყველას ფრანგი ვგონივარ, შორეულა იზ პარიჟა! არ ვგავარ თუ?

— რა ვიცი, მამიდა, არაფერი არ ვიცი! — მოიბუზა ელპიდე.

— რა არ იცი, ბოშო? ცხოვრება რომ წინ მიდის და არ გვაქვს უფლება უკან მივჩანჩალებდეთ, არ იცი ეს შენ? გადასხვაფერებაა, ჭირიმე, საჭირო! სიგარეტსაც მოწევ, ყავასაც დალევ და მაგ ფრჩხილებზე ვერცხლისფერ სადაფსაც გადაისვამ, შარვალშიც გამოიტმანები.

— კოლმეურნების თავბრუს დომარემ კი მითხრა, თუ მობარუნდები, კაი რგოლს ჩავაბარებ და შენ იცი, თავს როგორ ისახელებო! — აცრემლდა ელპიდე.

— იმ რგოლს თვითონ უხელმძღვანელოს, თუ კაია!.. ცრემლი არ დამანახვო! ცრემლში მარილია, მარილი კი სახის კანს აშრობს, ანაოჭებს!.. ჩტო ს ტაბოი, გინდა დამახინჯდე?! ეს მითხარი, ანგარიში თუ იცი?


— მეგონა, ვიცოდი, მაგრამ ხომ ნახე, ჩავიჭერი!..

— მე ბიზიმეზე და კვადრატულ ფესვებზე კი არ გკითხვები, მოლარეს რომ სჭირდება, იმდენი თუ შეგიძლია მეთქი! ბონოში მოგაწყობ, დაჯედები კოლო სეანსზე და უყურე კინოს, თუ გინდა, ყოველდღე!.. დირექტორი ჩემი სულერი მეგობარია, შეილივით შევინახავს!..

— აბა, აღარ გაბზრუნდე სოფელში?

— გაღირიე, ელპი გაჩე?! სოფელში რა გინდა, ჭირიმე?! თბილისი ხელგაშლილი გიკრავს გულში! — ლოყაზე აპატაა შორეულამ ქმისწულს, პატარა კულუღი შეუბრუნე ჩამოშალა და ყურში საიდუმლოდ უთხრა: — მაცალე პატარა და სულ მალე კაი ფილმშიც თუ არ გამოგაჩინე, ნახავ!.. მიცნობენ იქაც! შორეულა, ფირმაა, ჭირიმე!.. აბა!.. მთავარია, შენ ზუსტად შეისისხლხორცო ფერიცვლების რეცეპტი, ჩვენებურები კი არავის დაჩაგვრინებენ ჩვენს თავს, დამიჯერე!

ნანა კანდელაკი



ნახ. ნინა ასლამაზიშვილისა

— თუ ძმა ხარ, არ დამლუბო. საქმე ისე არ გამიფუჭო, რომ ბოლოს ბავშვმა თავი ქარხანაში ამოყოს!

დილოები

— ამ ყმაწვილს, კოლეგა, სულ ცოტა, ერთი ნიშანი მაინც უნდა წავუშალოთ. ხედავთ, ეს ერთადერთი აბიტურენტი, გამოცდაზე მართო რომ მოვიდა. ჩვენს დროში ეს ხომ სიმამაცის, ვაჟკაცობისა და საკუთარი თავისადმი ღრმა რწმენის ნიშანია?! კარგი იქნება, თუ ამ ამბავს სხვა აბიტურენტებისთვისაც სამაგალიტოს გავხდით!

- ყმაწვილო, არავინ არ გელოდებო?
- არა, ბატონო!
- მშობლები და ნათესავები გყავთ?
- რა თქმა უნდა!
- იცოდნენ, დღეს რომ გამოცდა გქონდათ?
- ლიას!
- მერედა, სად არიან?
- პროტექტორების საძებნელად წავიდნენ, სხვა გამოცდებზე ხომ უნდა ჩავაბარო?!
... ..

— მე წერა კარხანით ჩავაბარე, შენ?
— მე ზეპირზე მკარხანობდნენ!

ნანული ჯაგანოვილი



რატომ არ იცი?

იუმორისა

ფიზიკაში მისაღებ გამოცდას ვაბარებდი. გამოცდელებს შორის ნაცნობს მოვკარი თვალი. იმედი მომეცა.

ბილეთის ერთ-ერთი საკითხი ნივთიერების აგებულებას ეხებოდა.

— რისგან შედგება ნივთიერება? — დამისვეს შეკითხვა. ვიცოდი, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, — არ ვიცი-მეთქი.

— რატომ, რატომ არ იცი? — წყრომით მითხრა ნაცნობმა.

— ატომ, ატომებისგან! — ვუპასუხე მე.

— ატომი რილასგან შედგება — დამისვეს შეკითხვა. ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა და თავი დავხარე.

— ამ ლენჩს ბირჟაზე დგომის მეტი არაფერი უკეთებია! — გადაულაპარაკა ნაცნობმა მეორე გამომცდელს.

— ელექტრონებისა და ბირთვისაგან! — წავიბუტბუტე თავაწეულმა.

— ბირთვი? — არ მოისვენა მეორემ.

— პროტესტს ვაცხადებ! სამეფო ტახტის ფიზიკოსი ხომ არ გგონია? — ნაწყენი კილოთი უთხრა მეორეს ნაცნობმა.

ერთ წამში ჩავრთე გონება. „პროტესტმა“ უცებ გამახსენა, რაც საჭირო იყო, სამეფო ტახტმა კი ბრინჯით დამაბნია.

— პარენ ვროდე სმიშლიონნი, პაჩემუ ნუ ატვეჩაეტ? — ჩაურუსულა იმ მეორემ ნაცნობს.

იმ წამში გამახსენდა, რომ სამეფო ტახტი რუსულად „ტრონს“ ნიშნავდა.

— ბირთვი პროტონებისა და ნეიტრონებისაგან შედგება! — ჩავაჩაკრაკე და მივხვდი, რომ ოთხიანს წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

თამაზ კასრაძე

სიტყვა, თქვენი ცხვირსაცოცხდით
თავდაპირველი კანის მიერ მიხედვით
გამოცდავის დროს

საქართველო
საბჭოთა
საქართველო

მუხრანისეპურად

საქართველოში ოდიტგან თუმცა
წიგნი ეჭირათ ხელში,
სასწავლებლები ესოდენ უხვად
ჯერ არ ყოფილა ჩვენში!

ქართველ კაცს თუმცა ცოდნის წყურვილი
ყოველთვის ჰქონდა გენში, —
საუბედუროდ, ვაი-სტუდენტის
საკმაოდ არის ჩვენში!

თუმცა დიპლომი მრავალს უპყრია
ვაი-საბუთად ხელში, —
საუბედუროდ, სპეციალისტებს
სანთლით დავეძებთ, ვკვენსით!..

ნიკოლოზ იოსავიძე

... ნუ შემაწუხებთ!

ამ თვის ცხრამეტში გამოცედი ცხრამეტ სტუდენტს,
ცამეტის „პატრონმა“ გამაფრთხილა უკვე!
ჩემი სტუდენტების ცოდნის შეფასება,
როგორც ჩანს, შეუძლიათ მათ ჩემზე უკეთ!

მინდა, რომ გული დავიწყნარო როგორმე,
ასე რატომ მაშფოთებს მე ის ცამეტი?
ჯანდაბას, დავწერო სამადლო „სამები“!
... არ ვიცი, რა დღეში ვიქნები ცხრამეტში!

ხედავთ, რა ადვილად აღწევენ ყველაფერს?!
არც პროტექტორია მათთვის უმოვნელი!
რად უნდათ, გენაცვალე, სამადლო „სამი“?! —
„სუთი“ სურთ, „სუთი“, გესმით, „სუთი“ უშრომელი!


თქვენ ღმერთმა გამორთო სტუდენტის მოსმენა,
მთლად უცოდინარი რომ დაიწყებს ღეჭვას...
მერე, წამებით რომ დაწერ მაღალ ნიშანს,
გაუძლებს გული ნერვების გლეჯას!

პაი ვიდი!.. იმ ცამეტს გავუთანაბრო
ჩემი ბრწყინვალე სტუდენტი ღურწყაია?
რა ვქნა, თუ ყველას ძალიან ვაწყენინებ
და მეტად კი ჩემი დის მულს ნუცკაიას,
რომელიც ამ გზით გავიდა ცხოვრებაში
და ახლა კარგი ადგილი უკავია!

დიდად პატივცემულო პროტექტორებო,
ჩემო ნათესავებო და მეგობრებო,
ბუნების ძალამ ბედნიერად გაცნოვროთ,
ნათესავზე ძვირფასო მეზობლებო!

კაცი გვედრებით კვნესითა და ოხვრით,
ქვები მაზიდვინეთ, მადარევინეთ ოფლი,
თუნდაც მამუშავეთ ბართა და თონით,
ოღონდ ნუ შემაწუხებთ მაგვარი თხოვნით!

ლალი მარტაშვილი



გამოცდელი — ნაცნობ აბიტურიენტს

— აბა, გენაცვალე, „მგზავრის წერილები“ თუ გახსოვს?

— რომელი მგზავრის? მაგელანის, კოლუმბის, ამერიგო ვესპუჩის თუ ტიმ სევერინის?

— ილია ჭავჭავაძის, შე დამთხვეულს! თუმცა ახლა რა მნიშვნელობა აქვს მაგას, ილაპარაკე, რაც შეგიძლია მეტი..

— ჰოო, ვლადივოსტოკიდან ტფილისამდე!.. კი, ბატონო, წაკითხული მაქ, აბა, არა?!

— უოჩაღ, უოჩაღ! მაგრა გიმუშავია! აბა, ახლა ეს მითხარი, როდის დაიწერა იგი, მგზავრობის წინ თუ მგზავრობის შემდეგ?

— თუ არ ვცდები, შემდეგ, პატ. მასწ.

— უოჩაღ! ფრიადის დაწერის უფლება რომ მქონდეს...
გამოცდელი გამოცდელი — გამოცდელი აბიტურიენტს

— ახალგაზრდავ, პირველად აბარებთ მისაღებ გამოცდებს?

— დიას, პატივცემულო!

— დაიწყეთ პირველი საკითხი!

აბიტურიენტმა ბილეთის პირველი საკითხი ბოლომდე ჩააბუღებულა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!

მითხარით, გეთაყვა, რომელ წელს დაწერა ცურტაველმაც ნაწარმოები?

— ამ ნაწარმოების დაწერის ზუსტი თარიღი ჭერჭერობით გაურკვეველია...

— არ მომწონს თქვენი პასუხის გადაღით მეორე საკითხზე!

აბიტურიენტმა მეორე საკითხიც ჩააბუღებულა.

— ვის მიუძღვნა რუსთაველმა თავისი „ვეფხისტყაოსანი“?

— მკვლევართა თვალსაზრისით, თამარ მეფეს, პატივცემულს...

— როგორ? თქვენ რა, არ იზიარებთ მათ თვალსაზრისს?! პასუხი არადაშეკმაყოფილებულია დაიწყეთ მესამე საკითხი!

მესამე საკითხს — „მარტივი და რთული წინადადებები“ — სხაპასუხით უპასუხა.

— რამდენი მარტივი წინადადებისაგან შედგება რთული წინადადება?

— ორი ან ორზე მეტისაგან... რთულ წინადადებას გააჩნია...

— ჰო, კარგი, სამზე შევთანხმდეთ!..

გამოცდელი აბიტურიენტის გამოცდელი გამოცდელთან

— შემეკითხეთ, რაც გნებავთ, პატივცემულო!..

— ჭერ ბილეთის კითხვებს უპასუხე, ახალგაზრდავ!

— თავიდან დავიწყო?

— დაიწყეთ!

აბიტურიენტმა ბილეთის სამივე საკითხზე საქაოლ ვრცელად ილაპარაკა. ზოგადად შეეხო ნაწარმოებებს, ოდესღაც რომ წაეკითხა და მახსოვრობაში ჩაჩინდა. ორატორული ნიჭით დაჭილღობული, იგი საზღვარგარეთელ მწერლებსაც გადასწვდა. ერთი სიტყვით, კინაღამ გადარია გამოცდელი გამომცდელი.

— უმაწვილო, გეტყობათ, საერთოდ, ნაკითხი ბრძანდებით, მაგრამ, კერძოდ, კონკრეტულ საკითხებზე პირდაპირ რომ არაფერი გითქვამთ?

— რასა ბრძანებთ, პატივცემულო?! დღეს პირდაპირ ვინღა ლაპარაკობს პირადულზე, კონკრეტულზე, კერძოზე?! პირიქით, განზოგადებულად უნდა წარმოვაჩინოთ უოველივე, სუბიექტურობაში რომ არ ჩაგვითვალონ!..

— კარგს გიწერთ! თანახმა ხართ?

— ეჰ, რომ არ მეჩქარებოდეს, კომისიის თავმჯდომარესთან გავიდოდი ხუთზე!

— დაბრძანდით, დაბრძანდით, უმაწვილო! რადგან მე მახსენებთ, არ მინდა, უკმაყოფილო გაგიშვათ! სამ შეკითხვას მოგცემთ და სამიოდე წუთში გაგათავისუფლებთ! — უთხრა გათამამებულ აბიტურ-

ენტს თავზე წამღვარა თავმჯდომარემ.

— როდის დაიბადა ილია ჭავჭავაძე?

— ბატონო ილია ას ორმოცდაათი წლის წინ მოვევლინა ჩვენს სამშობლოს, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, დიდი მამულიშვილი... მის კალამს ეკუთვნის...

— შეჩერდი! ვინ დაწერა „სარჩობელაზე“?

— სასრჩობელაზე?.. ილიას გარდა, ყველა დაწერდა, ბატონო, მაგას! ილია კი არაფრით! იგი მოუწოდებდა კაცობრიობას, გაეუქმებინათ დანაშაულის უმადლესი ზომა!..

— გასაგებია, გასაგებია! ილიას „პოეტი“ მითხარით შეპირადა!


— „ხან უგუნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ეხა ვარ, არც ისა...“.

— საკმარისია! გიწერ ხუთიანს, ოღონდ შებრუნებულს! მისი შემობრუნება შენვეა დამოკიდებული მომავალი წლისთვის!..

— „რაც მოგივა, დავითაო...“ — ჩაილაპარაკა ხმადაბლა გამოცდელმა აბიტურიენტმა და ჩუმად გაიძურწა საგამოცდლო ოთახიდან.

ფრიდონ სომხიშვილი
ილუსტრაციები მ. აბაშიძისა

ნახ. 3. კუტიანი



— რა ქენი, ჩააბარე?
— არა, ავიჭერი!

ნახ. 4. ჯარაგოშვილისა



— მართალია, გარდავიქმენით: შარშანდელთან შედარებით წელს ოცით ნაკლებმა პროცენტორმა მთხოვა შენზე, მაგრამ ისე, წიგნშიც რომ ჩაგებდა...



სიყვარულს თავს?

იუპორისა ორგოპედეპიანი კოვადიის მამიარ

(ოთახში სხედან და ტელევიზორს უყურებენ ცოლი, ქმარი და შვილი. ტელევიზორში აჩვენებენ ჩამორთმეულ ფულს).

ნიწო (ქმარს): — ეს ფული მოგვეცა...

დავითი (ცოლს): — რად გინდა, ქალო, ამდენი ფული?!

ნიწო: ფული რად გვინდა?! გაგახსენებ მე ამას!

(შემოდის გაზეთებით და კონვერტებით ოჯახისთავი ბატონი ვარლამი).

დავითი (მამის დანახვაზე): — რაა ეს კონვერტები?

(ისე უცქერის მამას, თითქოს ბოშში შემოუტანოს. ბატონმა ვარლამმა გაზეთები და კონვერტები მაგიდაზე დაყარა. ქალ-ბატონმა ნინომ გულისფანცქალით აიღო კონვერტი. პირველი კონვერტის წაკითხვაზე ადამიანის ფერი კიდევ უკონდა. მეორესა და მესამეზე კინაღამ შეპკვილა. მეოთხე არ აუღია).

დავითი (ცოლს): — რა დაგემართა, ქალო?!

ნიწო: — ერთი ნახეთ, ჩვენს კუთხეში ორი ქორწილია! ის მესამე ვინ გვეპატივება. არ ვიცის! მგონი, ჩვენი ოჯახის ყველის ბუის მამიდაშვილია!...

(ბატონმა დავითმა მესამე კონვერტი აიღო. გვარი კი ვცნო, მაგრამ ვერაგზით ვერ გაიხსენა. მეოთხე კონვერტი, წაკითხვის შემდეგ, ცოლს გადასცა, შენიაო! — დააყოლა. ოთახში შემოდის უფროსი დიასახლისი — ქალბატონი დარეჯანი).

დარეჯანი: — რას ჩამოგტირით სახეები, მშვიდობა ხომ არის?!

ზურიკო: — ბებო, ამ კონვერტებმა გაგიფუჭა ხასიათი. (ხელი მაგიდისკენ გაიშვირა. ქალბატონი დარეჯანი მაგიდასთან მიდის და ათვალეირებს მოსაწვევე პარათებს).

დარეჯანი: — ამ ოჯახაშენებულებს მოხმარება არ უნდათ? რომელიმეს მეორე შაბათისთვის გადაეტანა ქორწილი! (საყვედურს მეზობლების მიმართ ამბობს).

მეორე ორგოპედეპა

(ოთახში მამა და შვილია. ბატონი დავითი ჟურნალს ფურცლავს, თან ლიღინებს: ეს შაბათი გადამატანინე, მერე რა ვამიჭირდება!.. ამ დროს შემოდის ქალბატონი ნინო და ჟურში უჩურჩულებს მეუღლეს. ბატონ დავითს ისედაც გაფუჭებული ხასიათი უფრო გაუფუჭდა).

ნიწო: — ძველი სამსახურის ამხანაგს დედა გარდაეცვალა!..


დავითი: — მერე აქ რა შუაშია ქორწილი?

ნიწო: — ქორწილი სხვაა. მე რომ ახალ სამსახურში ვარ, ჩემი სამსახურის ამხანაგის და თხოვდება.

დავითი: — მოიცა! ესე იგი, ახლა მე სამსახურში რომ ვარ, ჩემი სამსახურის ამხანაგის ძმას რომ ქალი მოჰყავს, ის შენი ახალი სამსახურის ამხანაგის დაა? შენც ხომ არ გინდა ფული? (შვილს უთხრა).

ზურიკო: — ხვალ წათუნას დაბადების დღეა, ამხანაგებმა საჩუქრები უყიდეს!.. (ბატონი დავითი სიბრაზისაგან ცალ ფეხზე შემოტრიალდა. შვილი ბებუის და ბაბუის დასაძახებლად გაგზავნა. შემოდინ ქალბატონი დარეჯანი და ვარლამი).

დავითი: — რა არის ჩვენს თავს? ეგების თქვენც გაქვთ მოსაწვევები, პროკლამაციებივით შემოტანილი?



— მამაზეციერო, საგალაქტიკათაშორისო სატელეფონო გადასახადი მოგივიდათ!
— დმერთი, რჯული, იქ არც არავის ვიცნობ და არც არავისთან მილაპარაკია!

ბატონი ვარლამი: — მე მიწვეული ვარ ჩვენი უფროსის ახალ თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. შენ, აბა, როგორ გინდა, ისე ჩაიაროს კვირამ, ვილაცის რაღაცაზე არ უნდა იყო დაპატივებული?! დღეს ადამიანს გული მართო სატირალში უნდა მისტიროდეს, თორემ თუ ამ ქორწილებიდან, დღეობებიდან, სახლის გადასურვის კამპანიებიდან თავი სატირალი გაუნდა, მაშინ მისთვის ყველაფერი სულ ერთია!..

ზურიკო: — ყველაზე კარგი კოსმოსური ხომალდია! (ყველა გაკვირებული უყურებს).

ვარლამი: — რატომ, ბაბუ?

ზურიკო: — იქ, დიდი-დიდი, ათ კაცამდე დაეტევა. ქორწილები იქ უნდა ჩატარდეს!

ვარლამი: — ჰა, იქაც მოვლენ. ზოგიერთი მერე შეგვვდება და საყვედურს გეტყვის, რატომ არ დამპატიეო?!

ზურიკო: — ჩემი ქორწილი როგორი იქნება, მამი?

დავითი: — მე არ გავსულელდები!..

ვარლამი: — გაკეთებამდე ყველა ასე იძახის. მერე იმხელას აკეთებს, რომ ძალდი კატას ვერ ცნობს! კარგი, ახლა ამის დრო არ არის, ვიფიქროთ, ვინ სად წავიდეს! არ შევრცხვით! თქვენ, ჩემო კნენინა?

დარეჯანი: — აუცილებლად ტექნიკუმში უნდა ვიყო! პენსიაზე ვაცილებთ ღვაწლმოსილ ადამიანს! მერე თავისთავად ცხადია!..

დავითი: — ხალხო რა ხდება ჩვენს თავს?! (ოთახიდან გარბის).

კუპური კუპულაძე
(ქ. ლანჩხუთი)

ფელეტონმა — „თბილისელი ლედი მაკბეტი“ („ნიანგი“ №5, 1987 წ.) — დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია: გვწერენ მსჯავრდადებულთა და დაზარალებულთა ახლობლები და ნათესავები, იწერებიან სხვებიც!..

ფელეტონში გივი ძამიაშვილისა და ნელი ხმალადის გაცნობის ადგილად თბილისის №24 აფთიაქია დასახელებული და სწორედ ამის გამო გვწერენ მთავარი სააფთიაქო სამმართველოდან, როცა მათ მკვლევლობა ჩაიდინეს, ნელი ხმალადე 5 წლის წასული იყო ჩვენი სისტემიდან და ჟორდანიას სახელობის სამედიცინო-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, ხოლო გივი ძამიაშვილი ჯერ კიდევ 1975 წელს წავიდა ჩვენგანო.

ფარმაკოლოგთა გულისტკივილი გასაგებია: ისინი თავიანთი თეთრი ხალათების უბიწოებაზე ზრუნავენ და არ უნდათ, რომ იგი დალაქავებული, მით უფრო — სისხლით მოსვრილი იხილონ!..

მოკლული, შემდეგ ასო-ასო აქნილი სიმონ ბიკაშვილის დედის გულისტკივილიც გასაგებზე გასაგებია: მწუნარე დედა აღშფოთებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ მკვლელებისადმი გამოჩენილ ღმობიერებით, ხოლო ნელი ხმალადის ქომაგთ მკვლელობის ერთგვარ რეაბილიტაციად მიაჩნიათ ის, რომ უმაღლესმა სასამართლომ მკვლევლობა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად არ ჩათვალა და მკვლელებს სასჯელი შეუშლბუქა — გივი ძამიაშვილს დახვრეტის ნაცვლად მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ნელი ხმალადეს — 11 წლით.

ვითომ ამან რამე შეცვალა ხალხის თვალში? კაცისკვლა ლაქაა, რომელსაც ასე იოლად ვერ გააფერმკრთალებ, რამდენსაც შეეცდები მოიწმინდო, უარესად იდღლაბნება!..

ნახ. შ. ლელაძისა



— ფულს, რამდენიც მინდა, იმდენს მოვიხვეპ, მაგრამ ამ სახელს ვეკარფიერი მოვუხარხა!

ბაიძასი: — „ფული, ფული!“

შენ გვონია, ღარიბი ვარ, რადგან არ მაქვს ქონება?!
სედავ?! — ვუკრავ ვიტარაზე, ვმღერი მთელი ცხოვრება!

ოქროავერცხლს რომ ვმონები, ძვრები შურის ღირეში, გობსეკივით კუჭსაც იხმობ, გყავს ცოლ-შვილი დილეგში..

გაიძასი: — „ფული.. ფული.. ფული არის ცნობება..“
შენ გვონია, ღარიბი ვარ, რახან არ მაქვს ქონება?!

რა სჯობია ალალ ლუკმას, შენი ჯაფით მოტანილს?! — გადამალვა აღარ გინდა და არც აყრი ნაფტალინს!

დაგვიწყდა დიდი მცნება — კაცის კაცით გატანა!
შის ფულიან ტომარაზე და ხარხარებს სატანა!..

ეშმას სიცილს, ეშმას კისკისს შეუხაშე გონება!..
თუ გინდა, რომ სულ იმღერო, ნუ აგროვებ ქონებას!

გია სონელი

მისხალ-მისხალ

● არიან ნაფერები მწერლები, რომელთა ყოველი ახალი ნაწარმოები განწირულია... ნოტბისაგან.

● სხვისი თვალითაც შეხედე საკუთარ თავს!

● ავლოს ჩვენს მტრებს არა მათი დამაბზლებით, არამედ ჩვენი ამალღებით!

● თასლი არ აღმოცენდება, ვიდრე არ განილევა.

● არუსს თავის კვერცხებში ინდაურისაც შეურიეს, რომლისგან ინდაური გამოიჩევა. მერე ის ქათამი იფხორებოდა, რომ ამხელა ფრინველი „გააჩინა“.

● მწერალი უფრო იო-

ლად იტანს ასეთ პირშითქმას: — „კარგი მწერალი ხარ, მაგრამ ცუდი ადამიანი!“ — ვიდრე ასეთს: — „კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ ცუდი მწერალი!“

● ყველაფრის იმედი შეიძლება უშრომელ მეოცნებე კაცს ჰქონდეს — ობლიგაციით ფულის მოგებისა, ლატარიის ბილეთით — ავტომანქანისა, გზაში რაიმეს პოვნისა, ვინმესგან საჩუქრის ან ანდერძით რაიმე წილის მიღებისა, მაგრამ მწერალს კი არ არგია იმის იმედი, რომ სახელს მოიხვეჭს... დაუწერელი წიგნით!..

ვლადიმერ თორდუა

ნახ. ბ. ზუზაზვილინა



უსიტყვოდ



საბჭოებისა და იუმორის მწერალთა „ნიანგი“ № 14 (1744). ივლისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლძეაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭახუა ამირჯიბი, ნოზაძე ხართია, ბორის გურგულო, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სინარულიძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუფ ჩარკვიანი, თამაზ წიფვივაძე, ნათე ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნღუა

გადაეცა ასაწყობად 17. 06. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 07. 87 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₄, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კავშირის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 1569 უე 04891. ტირაჟი 144.000. მურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემა ნქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ». (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76137



7-87

87-494

ქართული
გრაფიკული



ნ.ბ. ჯ. ლომუაძე

— წარმოგიდგენიათ? ჩვენი მმართველი ისე გარდაიქმნა, ხელ-
ფასი შევუტანე და არ აიღო, უხერხულიაო!